

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №403

2020 წლის 2 ივლისი

ქ. თბილისი

განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის
სქემის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №36 – ვებგვერდი, 01.02.2021წ

მუხლი 1

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა“.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №36 – ვებგვერდი, 01.02.2021წ

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №36 – ვებგვერდი, 01.02.2021წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა“ (შემდგომში – მხარდაჭერის სქემა) განსაზღვრავს კერძო ინიციატორის მიერ საქართველოში განახლებად წყაროზე მომუშავე 5 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურის (შემდგომში – სადგური) მშენებლობისა და ოპერირების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

2. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სადგურის სპეციფიკის ან მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, შემუშავებულ იქნეს ამ მხარდაჭერის სქემისაგან განსხვავებული მხარდაჭერის პირობები.

3. მხარდაჭერის სქემაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №36 – ვებგვერდი, 01.02.2021წ

მუხლი 2. საინიციატივო შეთავაზების დასაშვებობა

1. კერძო ინიციატორის მიერ სადგურის მშენებლობისა და ოპერირების მხარდაჭერისთვის წარდგენილი საინიციატივო შეთავაზება საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით განსახილველად დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საინიციატივო შეთავაზება არ სცილდება მხარდაჭერის სქემით გათვალისწინებულ ფარგლებს, მისი თითოეული კომპონენტის მიხედვით.

2. საინიციატივო შეთავაზების განხილვა და სადგურის მშენებლობისა და ოპერირებისთვის მხარდაჭერის სქემის გამოყენებაზე შეთანხმების (შემდგომში – შეთანხმება) გაფორმება კერძო ინიციატორს, საქართველოს მთავრობასა და ამ სქემის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციას შორის ხორციელდება

არაოფიციალური ვერსია

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 3. მხარდაჭერის სქემა

1. მხარდაჭერის სქემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) მხარდაჭერის პერიოდი;

ბ) პრემიალური ტარიფი.

2. მხარდაჭერის სქემა ხორციელდება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, როგორც საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის მიერ. ამ მიზნით, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა“ და მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე პირს შორის ურთიერთობა რეგულირდება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით დამტკიცებული წესებისა და პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 13.02.2023წ.

მუხლი 4. მხარდაჭერის პერიოდი

1. მხარდაჭერის პერიოდი განისაზღვრება სადგურის ექსპლუატაციაში შესვლისა და წარმოების ლიცენზიის (კანონმდებლობით ასეთი საჭიროების შემთხვევაში) გაცემიდან ათი წლის ვადით, წელიწადში 8 თვის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 8 თვეა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

მუხლი 5. პრემიალური ტარიფი

1. პრემიალური ტარიფი შეადგენს 1 კვტ-სთ-ისთვის 0.015 აშშ დოლარს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პრემიალური ტარიფი გადაიხდება, როგორც ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასზე დამატება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე საათში 1 კვტ-სთ

არაოფიციალური ვერსია

ელექტროენერჯისათვის დაფიქსირებული საბითუმო (წონასწორული) ფასი ნაკლებია 0.055 აშშ დოლარზე.

3. პრემიალური ტარიფი გადაიხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული პირობებით შესაბამის საათში სადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებულ (სალტეზე გაცემულ) ელექტროენერჯის მოცულობაზე.

4. პრემიალური ტარიფის გაანგარიშებისათვის გამოიყენება მხოლოდ ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის ფასი. პრემიალური ტარიფი თითოეული საათისათვის შეადგენს 0.055 აშშ დოლარსა და ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასს შორის დადებით სხვაობას, მაგრამ არაუმეტეს 0.015 აშშ დოლარისა.

5. ამ დადგენილების საფუძველზე, შეთანხმებით გათვალისწინებული წესით, პრემიალური ტარიფის ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში იმ პირობით, რომ ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება და აღიარება ხორციელდება დღიურად ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის ყოველი დღის საათობრივი მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შესაბამისი დღისათვის დადგენილი კურსით. საანგარიშო თვის პრემიალური ტარიფის შესაბამისი ჯამური თანხის ანაზღაურება განხორციელდება ყოველი თვის დასრულების შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 თებერვლის დადგენილება №60 – ვებგვერდი, 13.02.2023წ

მუხლი 6. პრემიალური ტარიფის გადახდის პირობები გარდამავალ პერიოდში

1. „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ განსაზღვრული ელექტროენერჯის ბაზრის სამიზნე მოდელის ამოქმედებამდე, მხარდაჭერის პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერჯია წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერჯისა.

2. სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ კერძო ინიციატორისთვის (მწარმოებლისთვის) პრემიალური ტარიფი (0.055 აშშ დოლარსა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასს შორის დადებითი სხვაობა, მაგრამ არა უმეტეს 0.015 აშშ დოლარისა) გადაიხდება, როგორც საბალანსო ელექტროენერჯის ფასზე დამატება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საანგარიშო პერიოდში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი ნაკლებია 0.055 აშშ დოლარზე.

არაოფიციალური ვერსია

3. პრემიალური ტარიფი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, გადაიხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში ელექტროსადგურის მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერჯის მოცულობაზე.

4. ამ დადგენილების საფუძველზე, პრემიალური ტარიფის ანაზღაურება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი საანგარიშო თვის ბოლო დღისათვის დადგენილი კურსით. საანგარიშო თვის პრემიალური ტარიფის შესაბამისი თანხის ანაზღაურება განხორციელდება საანგარიშო თვის დასრულებიდან არა უგვიანეს 28 კალენდარული დღისა.

5. „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ განსაზღვრული ელექტროენერჯის ბაზრის სამიზნე მოდელის ამოქმედებამდე სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კერძო ინიციატორს (მწარმოებელს) შორის ურთიერთობა რეგულირდება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №552 – ვებგვერდი, 29.12.2023 წ.